ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3946648

ნომერი: AR1596040

თარიღი : 27.04.2018

გაცემის თარიღი : 04.05.2018

გაცნობის თარიღი : 04.05.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორია; ქალაქი თბილისი , დიდი დიღომი; ქალაქი თბილისი , აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორია; ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი; ქალაქი თბილისი , აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორია;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი ბოჭორიშვილი პ/ნ 01017011954
- თბილისი გ.რჩეულიშვილის ქ. კორ. 4 ბ. 12

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 30 მარტის №3174806 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 27 აპრილს AR1596040 განცხადებით მომართა მოქალაქე ირაკლი ბოჭორიშვილმა და მოითხოვა 2017 წლის 30 მარტის №3174806 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა

შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2017 წლის 30 მარტის №3174806 ბრძანებით№01.72.14.014.247 საკადატრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე (ფართობი: 1000 კვ.მ.) მრავალფუნქციური შენობის (ოფისი, დამხმარე ფართი, კომერციული და სავაჭრო) დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
ამჟამინდელი მდგომარეობით განმცხადებელი ითხოვს მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში არსებულ საკადასტრო ერთეულს დაემატოს 4 საკადასტრო ერთეული: ს/კ:01.72.14.014.248, ს/კ:01.72.14.014.818, ს/კ:01.72.14.014.838, ს/კ:01.72.14.014.837 საერთო ფართობი: 1166 კვ.მ. ამასთან, სურთ საპროეტო ობიექტად დაფიქისრდეს მრავალფუნქციური შენობა: საკონდიტრო, მაღაზია, საცხობი, ოფისი და მათი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად დამხმარე ფართები. საოფისე, კომერციული, სავაჭრო და დამხმარე ფუნქციით.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

ვინაიდან, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საკადასტრო ერთეულის ცვლილება უნდა აისახოს სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დამკვეთის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 30 მარტის №3174806 ბრძანებით დამკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ: არსებულ საკადასტრო ერთეულს (ს/კ: 01.72.14.014.247) დაემატოს ოთხი საკადასტრო ერთეული:

· საკადასტრო კოდი: 01.72.14.014.248 განცხადების ნომერი: 882010922746 მომზადების თარიღი: 14/12/10 ფართობი: 148 კვ.მ
· საკადასტრო კოდი: 01.72.14.014.818 განცხადების ნომერი: 882017308779 მომზადების თარიღი: 21/04/2017 ფართობი: 148 კვ.მ
· საკადასტრო კოდი: 01.72.14.014.837 განცხადების ნომერი: 882017479596 მომზადების თარიღი: 07/06/2017 ფართობი: 7 კვ.მ.
· საკადასტრო კოდი: 01.72.14.014.838 განცხადების ნომერი: 882017497306 მომზადების თარიღი: 13/06/2017 ფართობი: 11 კვ.მ

· საპროექტო ობიექტად დაფიქსირდეს: მრავალფუნქციური შენობა: საკონდიტრო, მაღაზია, საცხობი, ოფისი და მათი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფი დამხმარე ფართები.
ფუნქციური დანიშნულება: საოფისე, კომერციული, სავაჭრო, დამხმარე.

· განაშენიანების რეგულირების (წითელი) ხაზ(ებ)ი: დაუდგინდეს დანართის შესბამისად. (იხ. დანართი)
შეზღუდვა: შენობა-ნაგებობა განთავსდეს წითლ ხაზს მიღმა
დანიშნულება: განაშენიანების რეგულირება.

გაფრთხილება: პროექტის შეთანხმების სტადიაზე გაერთიანებულ იქნას აღნიშნული მიწის ნაკვეთები. მიწის ნაკვეთის სასოფლო-სამეურნეო ფუნქცია შეიცვალოს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით.

2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 30 მარტის №3174806 ბრძანებით დამკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი ჟ. შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.